განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი №1*

# ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შპს აისი

შეფასების თარიღები: 04 და 05 ივლისი, 2022

დასკვნის წარდგენის თარიღი: 05 აგვისტო, 2022



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| ინფორმაცია დაწესებულების შესახებ | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება | შპს აისი |
| ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა | შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება |
| საგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი | ს/კ: 204951481 |

| ავტორიზაციის მოპოვების შემთხვევაში, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის სურვილია განახორციელოს: | |
|---|---|
| დაწყებითი ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა | დიახ |
| საბაზო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |
| საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა | არა |

## II. საკონტაქტო ინფორმაცია

| საკონტაქტო ინფორმაცია | |
|---|---|
| მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი) | ქალაქი თბილისი |
| იურიდიული მისამართი | საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ქავთარაძის ქ. N 27-ის მიმდებარედ, II სართ., საოფისე ფართი N 2ა (მშენებარე) |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ფაქტობრივი მისამართი | სოფელი დიღომი, დავარის ქ. N 6 |
| საფოსტო ინდექსი | 0159 |
| დაწესებულების ვებ-გვერდი | aisi.edu.ge |
| დაწესებულების ელ-ფოსტა | info@aisi.edu.ge; aisiskola@gmail.com |
| დაწესებულების ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 5 99 98 22 27 |
| ხელმძღვანელი/წარმომადგენელი (სახელი, გვარი) | სესილი ქადარია |
| ტელეფონის ნომერი/ფაქსი | 5 68 64 43 34 |
| ელ-ფოსტა | Sesili.kadaria@tsu.ge |

## III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

| | |
|---|---|
| საავტორიზაციო ვიზიტის საფუძველი | „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შექმნისა და შპს აისში ვიზიტის შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილის 2022 წლის 05 მაისის MES 1 22 0000455341 ბრძანება. |
| ვიზიტის პერიოდი (თარიღი) | 04 და 05 ივლისი, 2022 წელი |
| ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე (სახელი, გვარი) | ქეთევან ბაცანკალაშვილი |
| წევრი (სახელი, გვარი) | თეონა ყაჭეიშვილი |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

## IV. ვიზიტის შეჯამება

### ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი

| სტანდარტი/ქვესტანდარტი | | ავტორიზაციის დებულების შესაბამისი მუხლი / პუნქტი | სტანდარტი დაკმაყოფილებულია | სტანდარტი არაა დაკმაყოფილებული |
|---|---|---|---|---|
| **1.ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამები** | | მუხლი 6 | ☒ | ☐ |
| 1.1 | სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | მუხლი 6/ პუნქტი ა) | ☒ | ☐ |
| 1.2 | სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | მუხლი 6/ პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 1.3 | სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობებით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | მუხლი 6/ პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 1.4 | სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისთვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | მუხლი 6 / პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 1.5 | შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | მუხლი 6 / პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 1.6 | შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | მუხლი 6 / პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |
| **2. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მატერიალური რესურსი** | | მუხლი 7 | ☐ | ☒ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.1 | დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | **მუხლი 7 / პუნქტი ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.1 | ერთ მისამართზე 250. კვ. მ. ფართი, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო იღებს გადაწყვეტილებას 50 მოსწავლეზე ნაკლებგონტინგენტიანი სკოლის ავტორიზაციის შესახებ. ფართზე უფლება უნდა დასტურდებოდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ა)** | ☒ | ☐ |
| 2.1.2 | საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | **მუხლი 7/ პუნქტი ა.ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.1.3 | სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | **მუხლი 7 / პუნქტი ა.გ.)** | ☒ | ☐ |
| 2.1.4 | სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | **მუხლი 7 / პუნქტი ა.დ)** | ☒ | ☐ |
| 2.2. | სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | **მუხლი 7 / პუნქტი ბ)** | ☒ | ☐ |
| 2.3 | სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | **მუხლი 7 / პუნქტი გ)** | ☒ | ☐ |
| 2.4 | სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | **მუხლი 7 / პუნქტი დ)** | ☒ | ☐ |
| 2.5 | სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | **მუხლი 7 / პუნქტი ე)** | ☒ | ☐ |
| 2.6 | სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | **მუხლი 7 / პუნქტი ვ)** | ☐ | ☒ |
| 2.6.1 | ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | **მუხლი 7 / პუნქტი ვ. ა)** | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 2.6.2 | თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ბ) | ☒ | ☐ |
| 2.6.3 | სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები | მუხლი 7 / პუნქტი ვ. გ) | ☒ | ☐ |
| 2.6.4 | წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად | მუხლი 7 / პუნქტი ვ. დ) | ☒ | ☐ |
| 2.6.5 | კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | მუხლი 7 / პუნქტი ვ. ე) | ☐ | ☒ |
| 2.7 | სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | მუხლი 7/ პუნქტი ზ) | ☒ | ☐ |
| 2.8 | შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | მუხლი 7/ პუნქტი თ) | ☒ | ☐ |
| 2.9 | დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციების აღრიცხვა | მუხლი 7/ პუნქტი ი) | ☒ | ☐ |
| **3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ადამიანური რესურსი** | | მუხლი 8 | ☒ | ☐ |
| 3.1 | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | მუხლი 8 / პუნქტი ა) | ☒ | ☐ |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 3.2 | სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | მუხლი 8 / პუნქტი ბ) | ☒ | ☐ |
| 3.3 | სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | მუხლი 8 / პუნქტი გ) | ☒ | ☐ |
| 3.4 | მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | მუხლი 8/ პუნქტი დ) | ☒ | ☐ |
| 3.5 | სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | მუხლი 8/ პუნქტი ე) | ☒ | ☐ |
| 3.6 | სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | მუხლი 8/ პუნქტი ვ) | ☒ | ☐ |

## V. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი (სტანდარტთან შეუსაბამობა), რომელიც გამოვლინდა ვიზიტის პერიოდში ქვესტანდარტის მითითებით.*

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *ხარვეზი* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* | *.............* |
| | *1.2.* | *...............* |
| *სტანდარტი* | *მატერიალური რესურსი* | |
| *ქვესტანდარტი* | *2.6.* **სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:**<br><br>**ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების –** | |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | **ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს** | გარე კამერების მონტაჟი არ არის შესაბამისობაში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებთან.<br><br>**შენიშვნა:** დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, დაწესებულებამ წარმოადგინა დამადასტურებელი დოკუმენტაცია ქვესტანდარტის დაკმაყოფილების შესახებ. კერძოდ, წარმოდგენილ ფოტო-მასალაში ასახულია ერთ-ერთი კამერის ადგმილდებარეობის ცვლილება და მონტაჟი, ისე რომ გარე პერიმეტრი კონტროლდება სრულად, ურთერთმკვეთი მიმართულებით. |
| ***სტანდარტი*** | *ადამიანური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | *3.1.* | |
| | | |

## VI. რეკომენდაციების შეჯამება

*გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ქვესტანდარტის მითითებით.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| *სტანდარტი* | *საგანმანათლებლო პროგრამები* | *რეკომენდაცია* |
|---|---|---|
| *ქვესტანდარტი* | *1.1.* სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. | რეკომენდაცია:<br>დაწესებულება XII კლასში არჩევით საგნად მოსწავლეებს სთავაზობს „მსოფლიო კულტურას“, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ერთმოდულიანი საგანია და ისწავლება ორი სემესტრის განმავლობაში. შპს აისი აღნიშნულ საგანს ასწავლის XII კლასის პირველ სემესტრში. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაითვალისწინოს აღნიშნული გარემოება და XII კლასში არჩევით საგნად მოსწავლეებს შესთავაზოს ისეთი მოდულები, რომელთა პროგრამაც გათვლილია ერთი სემესტრის პერიოდზე. გარდა ამისა, კერძო სკოლას აქვს შესაძლებლობა საათობრივ ბადეში განახორციელოს მსგავსი ან სხვა ტიპის ცვლილებები, თუკი დაწესებულება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარუდგენს დასაბუთებულ პოზიციას და მიიღებს შესაბამის თანხმობას. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ზემოაღნიშნული გარემოებების აღმოფხვრის მიზნით, კიდევ ერთხელ დაამუშაოს 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, მასში გათვალისწინებული საათობრივი ბადე და შეათანხმოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.<br><br>**შენიშვნა:** დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აღნიშნულია, რომ არჩევით საგანთან |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | | დაკავშირებული რეკომენდაცია გათვალისწინებულია და მოსწავლეებთან და მშობლებთან კონსულტაციის შედეგად შეირჩევა ისეთი ერთმოდულიანი საგანი, რომლის სწავლებაც განხორციელდება მხოლოდ ერთი სემესტრის მანძილზე. |
| | *1.2.* **სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები** | **რეკომენდაცია:**<br>**დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის აქტიურად დანერგვის შესახებ. კერძოდ, სასურველია სკოლის ყველა კათედრამ შექმნას და აწარმოოს მატრიცები, მშობელთა ბარათები, დიაგნოსტირების ინსტრუმენტები; დანერგოს სასკოლო პროექტები ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული თემების მიხედვით.**<br><br>**შენიშვნა:** დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აღნიშნულია, რომ რეკომენდაცია ემთხვევა სკოლის სურვილს სრულად დანერგოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, რისთვისაც გასული სასწავლო წელი გამოყენებულ იქნა გარდამავალ ეტაპად. დამადასტურებელ დოკუმენტაციად, დწესებულებამ წარმოადგინა შემუშავებული მატრიცები. |
| ***სტანდარტი*** | *მატერიალური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | *2.6.* **სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს:** | **რეკომენდაცია:**<br>**დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სამედიცინო კაბინეტის 2022 წლის 21 მარტის** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | | |
|---|---|---|
| | გ) **სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | **№41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და მოწესრიგების შესახებ.**<br><br>**დაწესებულებამ ბრძანება სამედიცინო კაბინეტით სარგებლობის განახლებული წესის დამტკიცების შესახებ, ასევე დოკუმენტაცია შირმის შესყიდვის შესახებ, წარმოადგინა ვიზიტის პერიოდში.** |
| ***სტანდარტი*** | *ადამიანური რესურსი* | |
| ***ქვესტანდარტი*** | *3.1.* **სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი** | **რეკომენდაცია:**<br>**დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების მიზნით, გამოაცხადოს კონკურსი და ხელშეკრულება გააფორმოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმთან. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში გამოაცხადა კონკურსი ექიმის პოზიციაზე და გაუგზავნა რესურსცენტრს შეტყობინება საკონკურსო კომისიაში რესურსცენტრის წარმომადგენლის ჩართვის თაობაზე.**<br><br>**შენიშვნა:** დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, დაწესებულებამ წარმოადგინა დამადასტურებელი დოკუმენტაცია რეკომენდაციის შესრულების შესახებ. კერძოდ, ექიმის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამონაწერი ელექტრონული ბაზიდან Eschool-იდან, ბრძანება საკონკურსო კომისიის შექმნის თაობაზე, წერილი რესურსცენტრიდან რესურსცენტრის წარმომადგენლის განსაზღვრის შესახებ. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

გ ა ნ ა თ ლ ე ბ ი ს   ხ ა რ ი ს ხ ი ს   გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ი ს   ე რ ო ვ ნ უ ლ ი   ც ე ნ ტ რ ი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## VII. დაწესებულების საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| საუკეთესო პრაქტიკის მაგალითი | შპს აისის საუკეთესო პრაქტიკად შეიძლება ჩაითვალოს ინკლუზიური განათლების გამოცდილება და მზაობა სსსმ მოსწავლის მისაღებად. კერძოდ, სკოლა ათეულ წელზე მეტია ახორციელებს ინკლუზიურ განათლებას, ჰყავდა და წელსაც ჰყავს სსსმ მოსწავლე. სკოლის დამფუძნებელმა ჩააბარა სპეციალური მასწავლებლის გამოცდა და გახდა უფროსი სტატუსის მქონე სპეციალური მასწავლებელი; სკოლა ხელმძღვანელობს 2018 წლის 21 თებერვლის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №16/ნ ბრძანებით, რომლის მიხედვით აქვს სსსმ მოსწავლისთვის სრულყოფილი დოკუმენტაცია: შეფასება, ისგ-ები სამ საგანში, ოქმები, შიდა მონიტორინგის დასკვნა. შემუშავებული აქვს კრიზისული ქცევის მართვის კონცეფცია/დებულება. ფიზიკური გარემო უნივერსალურია სსსმ მოსწავლის ჩასართავად: შესასვლელში პანდუსია 20%-მდე დახრილობის. ყველა სართულზე განლაგებულია ადაპტირებული სველი წერტილები, სკოლის შენობაში დამონტაჟებულია თანამედროვე ლიფტი, არცერთ კარს არა აქვს ზღურბლი, კარისა და კედლების ფერი განსხვავებულია.<br>სკოლას აქვს დიდი მოტივაცია ინკლუზიური განათლების განვითარების, რაც სვოტ ანალიზსა და სტრატეგიულ გეგმაშიც დაფიქსირებულია. |

| | |
|---|---|
| დაწესებულების მისია | შპს აისის მისიას წარმოადგენს საზოგადოებაში ინტეგრირებული, განათლებული, სამართლისა და ადამიანის უფლებების დამცველი ახალგაზრდების ჩამოყალიბება. ისეთი ძირითადი პრინციპების სწავლება, როგორიცაა: თანასწორობა, ტოლერანტობა, სხვისი პატივისა და ღირსების დაცვა, სკოლა უზრუნველყოფს როგორც მოსწავლეთა მორალურ ასევე ფიზიკურ განვითარებას, მათ ინტელექტუალურ ზრდას, რათა საბოლოოდ სახელმწიფოს სრულფასოვანი მოქალაქეები გადასცეს.<br><br>უფრო ზუსტად კი: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • მოსწავლეების, მშობლებისა და პედაგოგების თანამშრომლობის უზრუნველყოფით უსაფრთხო, კონკურენტუნარიანი გარემოს შექმნა, სადაც ყველა მოსწავლეს ექნება თანაბარი შესაძლებლობა მიიღოს თანამედროვე, ღრმა და ფართო განათლება, მომზადებული შეხვდეს ცხოვრების მოთხოვნებს, ჩამოყალიბდეს კანონმორჩილ ადამიანად.<br>• სკოლა ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, რაც მიიღწევა კლასებში მცირერიცხოვანი კონტიგენტით.<br>• მოსწავლემ უნდა მოახერხოს საკუთარი შესაძლებლობების მაქსიმალური რეალიზება და მომავალში არჩევანის გაკეთება განათლებასა და პროფესიულ საქმიანობას შორის.<br>• სკოლა ორიენტირებულია საერთაშორისო განათლების ხელმისაწვდომობაზე.<br><br>დაწყებითი საფეხურის მისიას წარმოადგენს:<br>ა) მოსწავლისთვის საბაზისო უნარების განვითარება, კერძოდ წესების დაცვა, დამოუკიდებლად წიგნიერების ჩამოყალიბება, პასუხისმგებლობის გრძნობის გამომუშავება;<br>ბ) სასკოლო გარემოსა და სწავლის მიმართ პოზიტიური განწყობის შექმნა, სხვადასხვა მეთოდით/სწავლებით მათი ინტერესის გაღვივება, გონებრივ-ემოციური განვითარების ხელშეწყობა, მოსწავლის მომზადება საბაზო საფეხურისთის.<br><br>საბაზო საფეხურის მისიას წარმოადგენს:<br>ა) მოსწავლის ლოგიკური აზროვნების განვითარება, ისეთი უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, რომელიც დაეხმარება დამოუკიდებლად ინტერესისა და მიდრეკილებების გამოვლენაში.<br>ბ) საგანთა საფეხურებრივი მიწოდებით, კონსტრუქციული აზროვნების ჩამოყალიბება, შრომისუნარიანობის ზრდა და თავდაჯერებული მოქალაქის ფორმირების პროცესში მონაწილეობა;<br>გ) არჩევანის თავისუფლების უზრუნველყოფა, მოსწავლეთა სრული მომზადება სოციალურ-შრომითი პირობების ასათვისებლად.<br><br>საშუალო საფეხურის მისიას წარმოადგენს: |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ა) საბაზო საფეხურზე გამოვლენილი ინტერესების გაღრმავება, მათი დეტალიზებული სწავლება;<br>ბ) მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების განვითარება;<br>გ) ისეთი მოაზროვნე მოქალაქის ჩამოყალიბება, რომელსაც შეუძლია, საკუთარი აზრის მკაფიოდ, თავდაჯერებულად გამოხატვა, დამოკიდებლად გადაწყვეტილების მიღება და ახალი მატერიალურ-ინტელექტუალური ღირებულებების შექმნა. |

## VIII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

| | |
|---|---|
| **წინა ვიზიტის პერიოდში გაცემული რეკომენდაციების აღწერა** | 2.1 მოეწყოს სპორტულ დარბაზში გასახდელები; შემუშავდეს და თვალსაჩინო ადგილას გამოიკრას საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის და კომპიუტერული კლასის სარგებლობის წესები.<br><br>2.3 დაიგეგმოს სხვადასხვა აქტივობები სკოლის ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის შევსება / განახლების მიმართულებით.<br>2.5 სკოლის კომპიუტერების მონაცემები განახლდეს/გაძლიერდეს ან ჩანაცვლდეს ახალი კომპიუტერებით; სკოლის ვებ-გვერდი მეტად ფუნქციური და ინფორმატიული გახდეს.<br><br>2.6 პერსონალურ მონაცემთა დაცვის მიზნით, განისაზღვროს და გაიწეროს სკოლის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტში ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის (ჩანაწერებზე წვდომის, შენახვის, დამუშავების და სხვ.)კონტროლის მექანიზმები და პასუხისმგებელი პირები.<br><br>2.7 სკოლის საქმიანობის მარეგულირებელ დოკუმენტებში (მაგ. დებულება) ასახული და გამიჯნული იყოს დირექტორების საქმიანობა და ფუნქციები. სკოლის შინაგანაწესში არ იყოს შეტანილი მუხლები, რომლის შესრულებაც სკოლა ვერ/არ განახორციელებს. (მაგ: მანდატურის საქამიანობა, დარღვევის აღრიცხვის ოქმზე რეაგირება). |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 2.8 გაძლიერდეს დირექტორის ბრძანებით შექმნილი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის ჯგუფის საქმიანობა, დაინერგოს სკოლაში ხარისხის უზრუნველყოფის ეფექტური სისტემა, რომელიც მოიცავს უწყვეტ ციკლს: დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-განავითარე; სტრატეგიულ გეგმებში მიმართულებებისა და სფეროების მიხედვით შექმნას შეფასების ინსტრუმენტები, ასევე შესრულების ინდიკატორები.<br><br>**შენიშვნა: 2022 წლის 04 და 05 ივლისს განხორციელებული საავტორიზაციო ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ წინა ვიზიტის რეკომენდაციების უმრავლესობა შესრულებულია. ნაწილობრივ არის დაკმაყოფილებული 2.7-ის შესახებ გაცემული რეკომენდაცია. კვლავ გასამიჯნია დირექტორების საქმიანობა და ფუნქციები.** |

## IX. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

| | | |
|---|---|---|
| მოსწავლეთა რაოდენობა:<br>190 | ექსპერტი ეთანხმება<br>☒ | აღწერა<br>*(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)* |
| | ექსპერტი არ ეთანხმება<br>☐ | დაწესებულების მიერ თვითშეფასების კითხვარში დაფიქსირებული მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა არის 190. ავტორიზაციის ვიზიტის პერიოდში, დაწესებულების წარმომადგენლებმა დააკორექტირეს მოსწავლეთა რაოდენობა და გამოთქვეს სურვილი კონტიგენტი გაეზარდათ **300** მოსწავლემდე. ვიზიტის პერიოდში, დაწესებულებამ სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში გაგზავნა წერილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

## X. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტები:

## 1. საგანმანათლებლო პროგრამები

| 1.1 სასკოლო სასწავლო გეგმა გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლა აისი ფუნქციონირებს 2000 წლიდან.<br>პედაგოგიური საბჭოს 2021 წლის 07 სექტემბრის N 1 სხდომაზე ოქმით დამტკიცებულია შპს აისის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა;<br><br>**სასკოლო სასწავლო გეგმა შედგება შემდეგი ნაწილებისგან:**<br>• სკოლის მისია;<br>• სასწავლო წლის კალენდარი;<br>• დისტანციური სწავლების ორგანიზება;<br>• დღის რეჟიმი;<br>• სასკოლო საათობრივი ბადე<br>• გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოების ნუსხა კლასების/დონეებისა და საგნების მიხედვით;<br>• საგნობრივი კათედრების დებულება;<br>• ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების ჩამონათვალი და აღწერილობა;<br>• ეროვნული სასწავლო გეგმით გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურების ჩამონათვალი, საჭიროების დასაბუთება და აღწერილობა<br>• მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები (რომელიც განსაზღვრავს ვადებსა და პირობებს გაცდენილი შემაჯამებელი დავალებების აღდგენისთვის, საშემოდგომო გამოცდების ჩატარებისთვის და სხვა) ; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | • ინკლუზიური განათლება<br>• სადამრიგებლო პროგრამა;<br>• პედაგოგიური საბჭოს დებულება.<br><br>სასკოლო სასწავლო გეგმა აზუსტებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სავალდებულო საგნების წლიური ჯამური საათების რაოდენობას, განსაზღვრავს თითოეული კლასისთვის ყოველდღიური გაკვეთილების განრიგსა და ესგ-თი გათლისწინებულ/გაუთვალისწინებელ დამატებით მომსახურეობას, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების პრინციპებს და სკოლაში მიმდინარე საგანმანათლებლო პროცესებთან დაკავშირებულ სხვა მიმართულებებსა და აქტივობებს. კლასში მოსაწავლეთა რაოდენობა განსაზღვრულია მაქსიმუმ 16 მოსწავლით;<br><br>**სასწავლო წლის კალენდარი**<br>სასწავლო წლის კალენდრის მიხედვით, 2021-2022 სასწავლო წლის დაწყების თარიღია: 2021 წლის 15 სექტემბერი, ხოლო დასრულების - 2022 წლის 15 ივნისი, გარდა I და XII კლასისა; I კლასის მოსწავლეთათვის 2021-2022 სასწავლო წლის დასრულების თარიღია: 2022 წლის 27 მაისი, ხოლო XII კლასის მოსწავლეთათვის - 2022 წლის 20 მაისი;<br><br>**დღის რეჟიმი**<br>I კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 35 წუთი;<br>II კლასში გაკვეთილის ხანგრძლივობაა 40 წუთი;<br>III-XII კლასებში გაკვეთილის ხანგძლივობაა 45 წუთი.<br>გაკვეთილების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით დაშვებულია გამონაკლისი, როდესაც სკოლამ, შესაძლოა, ხანმოკლე ვადით შეცვალოს გაკვეთილების ხანგრძლივობა.<br><u>სკოლამ შეიმუშავა 2 (ორ) ნაკადად კლასების საგაკვეთილო პროცესის წარმართვის განსხვავებული გრაფიკი. კერძოდ I-IV კლასი სწავლას იწყებს 09:00 საათზე, V-XII კლასი -09.30 საათზე;</u><br><br>**სასკოლო სასწავლო საგნების ორგანიზება:** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შპს აისში ყოველი საფეხურის თითოეულ კლასში ისწავლება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა სავალდებულო საგანი. აგრეთვე, არჩევითი საგნებიდან მე-10 კლასში არჩეული აქვთ: „მეწარმეობის საფუძვლები“, მე-11 კლასში - „ხელოვნების ისტორია“ და მე-12 კლასში - „ მსოფლიო კულტურა“.<br><br>**საგნობრივი კათედრები სკოლაში:**<br>სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი საგნობრივი კათედრები: დაწყებითი საფეხურის კათედრა (I-IV კლასი ქართული ენა, მათემატიკა, ბუნება), საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა (ისტორია, გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება, მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოება; არჩევითი საგანი - მეწარმეობის საფუძვლები, მსოფლიო კულტურა; მოქალაქეობა, საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება), სახელმწიფო ენის კათედრა, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები, უცხოური ენის კათედრა (ინგლისური ენა, რუსული ენა, ფრანგული ენა, ესპანური ენა, გერმანული ენა, იტალიური ენა, აფხაზური ენა), მათემატიკისა და ისტ-ის კათედრა, საბუნებისმეტყველო მეცნიერების კათედრა (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია), ესთეტიკისა და სპორტის კათედრა (ხელოვნება, მუსიკა, არჩევითი საგანი: ხელოვნების ისტორია, სპორტი და ფიზიკური აღზრდა). სკოლაში შექმნილი კათედრები აერთიანებს საგნობრივ ჯგუფებში შემავალ ყველა მასწავლებელს.<br><br>**ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული / გაუთვალისწინებელი დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება:**<br><br>სკოლის მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, 2021-2022 სასწავლო წელს სკოლა მოსწავლეებს სთავაზობდა: გახანგრძლივებულ მომსახურებას I-VI კლასებში გაკვეთილების შემდეგ 17:00 საათამდე, ასევე არჩევითი (ფაკულტატური) სახით, ქართულ ცეკვას - I-VI კლასებში; სისხლის სამართლის პროცესს - IX-XII კლასებში; ჭადრაკს I-VI კლასებში. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | მოსწავლეებს ფაკულტატური სახით უტარდებოდათ უცხოური ენები სხვადასხვა კლასსა და საფეხურზე: რუსული ენა მე-2, მე-3, მე-4 კლასებში, 2 სთ კვირაში; აფხაზური ენა V-X კლასებში, 2 სთ კვირაში; გერმანული ენა V-X კლასებში, 2 სთ კვირაში; ფრანგული ენა V-X კლასებში, 2 სთ კვირაში; ესპანური ენა VI-IX კლასებში, 2 სთ კვირაში; იტალიური ენა VI-IX კლასებში, 2 სთ კვირაში.<br><br>**დისტანციური სასწავლო პროცესის ორგანიზება:**<br>სასკოლო სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია დისტანციური სწავლების წარმართვის პრინციპები. 2021 წლის 04 ოქტომბრამდე სკოლაში სასწავლო პროცესი წარიმართებოდა სრულად ელექტრონულად, სინქრონულად, რაც გულისხმობდა საგაკვეთილო პროცესში სკოლის მიერ შემდეგი მოდელების განხორციელებას: სკოლა აისში შეძენილია სკოლის მართვის ელექტრონული სისტემა და ჟურნალი „EduPage“, რომელსაც გააჩნია საკომუნიკაციო მულტიფუნქცია როგორც მშობლებთან და მოსწავლეებთან, ასევე მასწავლებლებთან; დისტანციური სწავლების დროს, სკოლაში გამოიყენება ელექტრონული პროგრამა ZOOM, JITSI და EduPage ის მიერ საკუთარ სერვერზე დამუშავებული FCC პლატფორმა;<br><br>სკოლას მომზადებული აქვს მომავალი 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო გეგმის - კურიკულუმის პროექტი.<br><br>**დაწესებულება XII კლასში არჩევით საგნად მოსწავლეებს სთავაზობს „მსოფლიო კულტურას“, რომელიც ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით ერთმოდულიანი საგანია და ისწავლება ორი სემესტრის განმავლობაში. შპს აისი აღნიშნულ საგანს ასწავლის XII კლასის პირველ სემესტრში. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში გაითვალისწინოს აღნიშნული გარემოება და XII კლასში არჩევით საგნად მოსწავლეებს შესთავაზოს ისეთი მოდულები, რომელთა პროგრამაც გათვლილია ერთი სემესტრის პერიოდზე. გარდა ამისა, კერძო სკოლას აქვს შესაძლებლობა საათობრივ ბადეში განახორციელოს მსგავსი ან სხვა ტიპის ცვლილებები, თუკი** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | **დაწესებულება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარუდგენს დასაბუთებულ პოზიციას და მიიღებს შესაბამის თანხმობას. დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, ზემოაღნიშნული გარემოებების აღმოფხვრის მიზნით, კიდევ ერთხელ დაამუშაოს 2022-2023 წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი, მასში გათვალისწინებული საათობრივი ბადე და შეათანხმოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.**<br><br>***შენიშვნა:*** *დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აღნიშნულია, რომ არჩევით საგანთან დაკავშირებული რეკომენდაცია გათვალისწინებულია და მოსწავლეებთან და მშობლებთან კონსულტაციის შედეგად შეირჩევა ისეთი ერთმოდულიანი საგანი, რომლის სწავლებაც განხორციელდება მხოლოდ ერთი სემესტრის მანძილზე.* |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შპს აისის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>2. შპს აისის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;<br>3. ფოკუსჯგუფები მოსწავლეებთან, მშობლებთან, მასწავლებლებთან. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.2 სასკოლო სასწავლო გეგმა პასუხობს შესაბამისი საფეხურის მოსწავლეთა მოთხოვნებს და საშუალებას აძლევს მათ, შეიძინონ ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნა, უნარები და ღირებულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლაში მიმდინარეობს სწავლება სამივე საფეხურზე (დაწყებითი, საბაზო და საშუალო). 2021-2022 სასწავლო წელს შპს აისში სულ ფუნქციონირებდა 12 კლასი.<br><br>2021-2022 წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში და მომავალ 2022-2023 სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტშიც ცალკე თავად განსაზღვრულია - სადამრიგებლო პროგრამა. სადამრიგებლო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | პროგრამა გაწერილია სწავლების საფეხურების, ცალკეული კლასების, თემების, მისაღწევი შედეგების მიხედვით. დაზუსტებულია ჩასატარებელი საათების რაოდენობა, სადამრიგებლო საათის ჩატარების ადგილი.<br><br>სკოლაში ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი. ისინი აწარმოებენ დამრიგებლის პორტფოლიოს, რომელშიც წარმოდგენილია დამრიგებლის მუშაობის მიზნები, მოვალეობები, მუშაობის პრინციპები და საკლასო ღონისძიებები. ყველა დაგეგმილი აქტივობა გამომდინარეობს სასკოლო სასწავლო გეგმიდან და შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებთან.<br><br>სკოლა აისში ყველა კათედრას აქვს პორტფოლიო საქაღალდის სახით. კათედრის საქაღალდეებში წარმოდგენილია კათედრის სამოქმედო გეგმები, კათედრის ოქმები და საგნების სასწავლო პროგრამები საფეხურების მიხედვით. აღნიშნულ დაწესებულებაში კათედრები აქტიურად მუშაობენ: ახდენენ საგნობრივი ჯგუფის საგნების სწავლების კოორდინირებას, ხდება კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება; ასევე კათედრები არჩევენ საგაკვეთილო პროცესისთვის, მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და სასკოლო ბიბლიოთეკისთვის საგანმანათლებლო რესურსებს და წარუდგენენ პედაგოგიური საბჭოს, ხშირია კათედრებს შორის ურთიერდასწრება და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა (მაგ. ისტორიასა და ქართულ ენასა და ლიტერატურაში საერთო თემატიკის შეთანხმება, ექსკურსიებისთვის საერთო დავალებების მოფიქრება და სხვა). კათედრების საქაღალდეებშია: შემაჯამებელი დავალებების ამსახველი დოკუმენტაცია (შემაჯამებელი დავალებების და მათი ანალიზის ფორმები), მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და გაცდენების ანალიზი.<br><br>მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის და განხორციელების პროცესი სკოლაში დაწყებულია. კათედრების პორტფოლიოებში წარმოდგენილი იყო კომპლექსური დავალებები. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | თუმცა ყველა კათედრაზე არ გვხდება თემატური მატრიცა, არ არის შედგენილი მშობელთა ბარათები. სკოლის ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ პედაგოგები ახალი სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის რეფორმის ფარგლებში აქტიურად ჩართულნი არიან შესაბამის ტრენინგებში და მომავალ წელს დაიწყებენ სრულყოფილად მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვას.<br><br>**დაწესებულებას მიიღო რეკომენდაცია მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის აქტიურად დანერგვის შესახებ. კერძოდ, სასურველია სკოლის ყველა კათედრამ შექმნას და აწარმოოს მატრიცები, მშობელთა ბარათები, დიაგნოსტირების ინსტრუმენტები; დანერგოს სასკოლო პროექტები ეროვნული სასწავლო გეგმის პრიორიტეტული თემების მიხედვით.**<br><br>***შენიშვნა:*** *დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, დაწესებულებამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, სადაც აღნიშნულია, რომ რეკომენდაცია ემთხვევა სკოლის სურვილს სრულად დანერგოს მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა, რისთვისაც გასული სასწავლო წელი გამოყენებულ იქნა გარდამავალ ეტაპად. დამადასტურებელ დოკუმენტაციად, დწესებულებამ წარმოადგინა შემუშავებული მატრიცები.* |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შპს აისის 2021-2022 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>2. სკოლის ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება;<br>3. სკოლის მოსწავლეებთან, მშობლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრება;<br>4. კათედრების პორტფოლიოები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| |
|---|
| 1.3 სასკოლო სასწავლო გეგმა მოსწავლეს უზრუნველყოფს სწავლისა და განვითარების თანაბარი შესაძლებლობით. სკოლას აქვს სპეციალური პროგრამა განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ფოკუსჯგუფებში სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებმა: მოსწავლეებმა, მოსწავლეთა მშობლებმა აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში სკოლა აისის მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან რესურსს, რომელიც ხელს უწყობს ნებისმიერი მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართვას და განვითარებას. ასევე, ინტერვიურებისას ფოკუს ჯგუფის წევრებმა ხაზი გაუსვეს სკოლაში კონტაქტური თუ დისტანციური გაკვეთილების ინტერაქტიულ ხასიათს.<br><br>სკოლას ჰყავს ერთი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე. აღნიშნულ სსსმ მოსწავლეს აქვს პირველადი დასკვნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ შედგენილი, ასევე მის პირად საქმეშია სკოლის ისგ გუნდის შიდა შეფასება. ინდივიდუალური სასწავლო გეგმა შედგენილია სამ საგანში: ქართულ ენაში, მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში. 2021-2022 სასწავლო წელს აისის ისგ გუნდის ოთხი შეხვედრა დაოქმდა. უნდა აღინიშნოს, რომ ოქმებში დეტალიზირებულია სსსმ მოსწავლესთან დაკავშირებული საკითხები. სპეციალურ მასწავლებელთან ინტერვიუში აღნიშნულ მოსწავლესთან მიმართებით გამოიკვეთა პროგრესი: „ის მთელ საგაკვეთილო პროცესს ატარებს თავის კლასთან და აღარ საჭიროებს რესურს ოთახში გაყვანას." ასევე მომზადებულია სკოლის მიერ 2021-2022 სასწავლო წლის შიდა მონიტორინგის დასკვნა. დასკვნაში აღწერილია სკოლისა და სსსმ მოსწავლის მშობლის კოორდინირებული თანამშრომლობის ქეისი.<br><br>სკოლა მუშაობს „რთული ქცევის მართვაზე". სპეციალურმა მასწავლებელმა წარმოადგინა პროექტი - დებულება „ქცევის მართვის გეგმა - 8 საფეხური", რომლის მთავარი მიზანია მოსწავლეთა რთული ქცევის პრევენცია, ხოლო უკვე არსებული არასასურველი ქცევის სასურველი/პოზიტიური ქცევით ჩანაცვლება სწორი რვასაფეხურიანი ქცევის სტრატეგიის გამოყენებით.<br><br>ხაზგასასმელია სკოლაში რესურსებით აღჭურვილი რესურს ოთახის არსებობა, სადაც არის პაზლი - ხალიჩა, პუფები, სხვადასხვა |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გასავითარებელი მასალა, სახატავი და საკანცელარიო ნივთები, სათამაშოები და სხვა.<br><br>ასევე, მისასალმებელია სკოლის მომავალი სასწავლო წლის კურიკულუმში დამატებით სასწავლო რესურსში სსსმ მოსწავლისათვის შესაძენი, მის ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებული ინვენტარისა და მასალის ჩამონათვალი: ფერადი დიდი ზომის პოსტერები, ასაწყობი კუბები, ხმოვანი და სენსორული წიგნები, სამაგიდო თამაშები, ლოტოები, ფაზლი, დომინო, პლასტელინი, თიხა, კინეტიკური ქვიშა, გუაში, ცარცი, მაგნიტური ციფრებისა და ასოების ნაკრები, ფუნქციური უნარების განმავითარებელი სათამაშოები: ზონარის, ღილის, ელვის შეკვრის უნარების შესასწავლად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შპს აისის 2021-2022 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>2. ინკლუზიური განათლების დებულება;<br>3. შპს აისის ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა - 2022 წლის 4 ივნისი;<br>4. ისგ ჯგუფის სხდომის ოქმები;<br>5. ინდ. სასწავლო გეგმები და შეფასება;<br>6. სპეც. მასწავლებელთან გასაუბრება;<br>7. გამოსაყენებელი საგანმანათლებლო რესურსის ჩამონათვალი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.4 სკოლაში არსებული მოსწავლეთა შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმას. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა, ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის და შედეგები გამოიყენება მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ვიზიტისას წარმოდგენილი 2021-2022 სასწავლო წლის შპს აისის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლის მოსწავლეები ფასდებიან ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. მოსწავლეთა აკადემიური შეფასება არის სამკომპონენტიანი: საშინაო, საკლასო და შემაჯამებელი დავალება. |

| | |
|---|---|
| | დაწესებულება შეფასების მიზნად ისახავს სწავლა-სწავლების ხარისხის მართვას, რაც გულისხმობს ერთი მხრივ, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვას და მეორე მხრივ, სწავლა-სწავლების ხარისხის მონიტორინგს. აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად დაწესებულება იყენებს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ტიპებს. I-IV კლასებში და ასევე V კლასის პირველ სემესტრში გამოიყენება მხოლოდ განმავითარებელი შეფასება, ხოლო V კლასის მეორე სემესტრიდან - XII კლასის ჩათვლით, როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასება. მოსწავლეთა აკადემიური მიღწევები ფასდება ათქულიანი სისტემით ხუთი დონის მიხედვით. ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნის შესაბამისად, სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრულია როგორც შემაჯამებელი დავალებების რაოდენობა თითოეულ საგანში სემესტრების მიხედვით, ასევე გაცდენილი შემაჯამებელი დავალების აღდგენის წესი.<br><br>პედაგოგები აფასებენ მოსწავლეების მიერ სტანდარტით განსაზღვრული სწავლის შედეგებს. სკოლაში საგნობრივი ჯგუფების სპეციფიკიდან გამომდინარე, საშინაო და საკლასო დავალებათა მრავალფეროვანი ტიპი გამოიყენება: ინფორმაციის მოძიება, პრეზენტაცია, სავარჯიშოების შესრულება, ექსპერიმენტი, დისკუსია და სხვა. ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, თითოეულ მასწავლებელს შემუშავებული აქვს სხვადასხვა აქტივობის ინდივიდუალური შეფასების სქემები. სასკოლო სასწავლო გეგმას თან ერთვის შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების კომპონენტში ხშირად გამოყენებულია კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებები (მაგ. ესეს დაწერა, პროექტის ჩატარება, ლაბორატორიული კვლევა, რეფერატის, მაკეტის მომზადება, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნიმუშის შექმნა, მოთხრობის შედგენა, მონაცემთა ბაზის შექმნა, კონკრეტული პრობლემის გადაჭრა, საველე-გასვლითი სამუშაოს ან სასწავლო ექსკურსიის ანგარიშის მომზადება და სხვ.). |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. 2021-2022 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;<br>2. მოსწავლეებთან, მოსწავლეთა მშობლებთან, მასწავლებლებთან გასაუბრება; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 3. მოსწავლეთა შეფასების რუბრიკები;<br>4. სკოლის ელექტრონული ჟურნალი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 1.5 შემუშავებულია მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ მშობლის ინფორმირების წესი და მშობელი უზრუნველყოფილია სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობის შესაძლებლობით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას შემუშავებული აქვს „მშობლის ინფორმირების წესი“, რომელშიც გაწერილია სკოლასა და მშობელს, დამრიგებელსა და მშობელს შორის ურთიერთობის დეტალები. ამ დებულების მიხედვით, დამრიგებელი მოსწავლის აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმაციას აწვდის მრავალფეროვანი ფორმით, ელექტრონული ჟურნალი, სოციალური ქსელი, საინფორმაციო ნიშნების ფურცელი, ინდივიდუალურ შეხვედრებზე, ელექტრონული ფოსტით, ტელეფონით. სკოლის საქმიანობისა და სასწავლო-აღმზრდელობითი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია მშობელს მიეწოდება სკოლის ელექტრონული ფოსტით, ასევე კლასის მშობელთა კრებებზე, რომელიც სემესტრში მინიმუმ ორჯერ იმართება  და სოციალურ ქსელებში შექმნილი ჯგუფების საშუალებით. თუ მშობელი საჭიროდ მიიჩნევს რომელიმე საგნის მასწავლებელთან გასაუბრებას, შეხვედრის ორგანიზებას აკეთებს კლასის დამრიგებელი.<br><br>მშობლისთვის ინფორმაციის მიწოდებისას სკოლა ითვალისწინებს ინფორმაციის მიწოდების ეთიკურ ნორმებს და პიროვნების ღირსებას. გარდა ამისა, სკოლა ვალდებულებას იღებს მშობლებთან აწარმოოს საინფორმაციო-საგანმანათლებლო ღონისძიებები ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: მშობლის როლი ბავშვის განათლებასა და აღზრდაში, შვილთან ეფექტური კომუნიკაცია,  ძალადობა და მისი გავლენა ბავშვის ფსიქოლოგიაზე და სხვა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შპს აისის „მშობლის ინფორმირების წესი“ დამტკიცებული სკოლის დირექტორის 2022 წლის 28 თებერვლის N21 ბრძნებით;<br>2. მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 1.6 შემუშავებულია სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს აისს შემუშავებული აქვს დოკუმენტი: „სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი". დაწესებულებისთვის სასწავლო პროცესის ხარისხზე ზრუნვა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. ამის მტკიცებულებაა დაწესებულებაში შემუშავებული სხვადასხვა დოკუმენტი და ჩატარებული ინტერვიუების შედეგად მიღებული ინფორმაცია.<br><br>შპს აისის სამოქმედო გეგმის მიხედვით, დაგეგმილია სასწავლო პროცესის განხორციელების ყოველწლიური მონიტორინგი და შედეგების ადამიანური და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების აქტივობები. ასევე აღნიშნულ სასწავლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს „შიდა სასკოლო მონიტორინგის წესი", რომლის მიხედვით დაწესებულებაში ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა აგებულია: დაგეგმე, განახორციელე, შეამოწმე, განავითარე - ციკლზე. ეს ციკლი ეხება სასკოლო სასწავლო გეგმის დაგეგმვას, განხორციელებასა და შეფასებას, ადამიანური რესურსების შეფასებას საქართველოს კანონმდებლობასა და დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესთან მიმართებაში, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვას, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესაბამისობის შეფასებას სასწავლო პროცესთან და მის განვითარებას საგანმანათლებლო მიზნებთან მიმართებაში.<br><br>სკოლის ადმინისტრაცია ჩართულია სკოლის მუშაობის ანალიზის პროცესში. ამისათვის ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სკოლა ამზადებს სასწავლო წლის თვითშეფასებას, ნარატიული სახით. ყოველწლიურ თვითშეფასებაზე დაყრდნობით, დაწესებულება შეიმუშავებს მომდევნო წლის სასკოლო სასწავლო გეგმას და მისი დანერგვის სტრატეგიებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. სასკოლო სასწავლო გეგმის შეფასებისა და შემდგომი გაუმჯობესების მექანიზმი;<br>2. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 3. შიდა სასკოლო მონიტორინგის წესი;<br>4. კერძო საშუალო სკოლა აისის 2020-2021 სასწავლო წლის თვითშეფასება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |
| ხარვეზები: | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

## 2. მატერიალური რესურსი

| | |
|---|---|
| 2.1 დაწესებულებას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი მატერიალური რესურსი, მათ შორის: | |
| ა) ერთ მისამართზე არსებული საერთო ფართი: | |
| დაწესებულების საერთო ფართის ოდენობა მისამართების მიხედვით:as | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს აისი მდებარეობს ქალაქ თბილისში, მისამართზე: დავარის ქ. N 64, სოფელი დიღომი. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| | დაწესებულებამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, რომელიც ადასტურებს, რომ შპს აისს გაფორმებული აქვს იჯარით სარგებლობის ხელშეკრულება შპს კატერინასთან, 10 წლის ვადით.<br><br>დაწესებულების სარგებლობაშია **1100 კვ.მ. მიწა** და მასზე მდებარე ოთხსართულიანი შენობა - საერთო ფართით **1360.2 კვ.მ.** შენობა ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 2021 წლის 23 სექტემბერს.<br><br>შენობა აქვს სამი სრული სართული და ასევე ნულოვანი სართული (ნახევარსარდაფი), რომელზეც განთავსებულია სპორტული დარბაზი, სასადილო, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი და ექიმის ოთახი.<br><br>საკლასო ოთახები და ადმინისტრაციული კაბინეტები გადანაწილებულია შენობის პირველ, მეორე და მესამე სართულებზე.<br><br>დაწესებულების ეზოში მოწყობილია სპორტული მოედანი. |
| *ფაქტობრივი მისამართი* | **ქ. თბილისი, სოფელი დიღომი, დავარის ქ. 64** |
| *მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი* | **01.72.14.037.309** |
| *კვ.მ.* | **შენობის საერთო ფართი 1360.2 კვ.მ.**<br>**მიწის ნაკვეთის ფართი: 1100 კვ.მ.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები | 1. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;<br>2. შენობის ექსპლუატაციაში მიღების დამადასტურებელი დოკუმენტი;<br>3. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება;<br>4. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| ბ) საკლასო ოთახები, აღჭურვილი სათანადო ინვენტარით, კერძოდ: მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს მორგებული მერხებით, სასკოლო დაფებითა და სხვა აუცილებელი მატერიალური საშუალებებით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის შენობის სამივე სართულზე გადანაწილებულია საკლასო ოთახები, რომლებიც აღჭურვილია სასწავლო პროცესის განხორციელებისათვის შესაბამისი ინვენტარით: ინდივიდუალური მერხებითა და სკამებით, დაფებით, მასწავლებლის მაგიდებით, რესურსის შესანახი კარადებით.<br><br>კლასში მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა მიმდინარე სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით არის არაუმეტეს 16 მოსწავლისა. 2022-2023 სასწავლო წელს მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვრა 18 მოსწავლით.<br><br>**სულ საკლასო ოთახების რაოდენობა: 17**<br>**მერხებისა და სკამების კომპლექტი: 300** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. სასკოლო ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. შიდა აზომვითი ნახაზი;<br>3. ვიზუალური დათვალიერება;<br>4. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| გ) სპორტული დარბაზი, აუზი ან მოედანი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულების ნულოვან სართულზე განთავსებულია შიდა სპორტული დარბაზი, რომელიც აღჭურვილია სხვადასხვა სპორტული ღონისძიების შესაბამისი ინვენტარით.<br><br>დაწესებულების მფლობელობაშია მაგიდის ჩოგბურთი და შესაბამისი ინვენტარი, კარატის სავარჯიშო ხალიჩა-ღრუბელი, ბურთები, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სახტუნაოები, ჰულა-ჰუპები, ჭადრაკის დაფები და ნაკრებები, ფრენბურთის ბადეები.<br><br>დაწესებულების ეზოში მოწყობილია გარე სპორტული მოედანი, რომელიც გამოიყენება კალათბურთის, ფეხბურთისა და ფრენბურთის სათამაშოდ. მოედანი შემოღობილია და ირგვლივ, მთელ პერიმეტრსა და სიმაღლეზე, აკრავს სპეციალური დამცავი ბადე. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. სპორტული ინვენტარის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| დ) სათანადოდ აღჭურვილი ლაბორატორია/ლაბორატორიები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულების მეორე სართულზე განთავსებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიის ოთახი და საცავი, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, კარადებითა და ონკანით. ლაბორატორიასაც და საცავსაც აქვთ ბუნებრივი განიავების საშუალება.<br><br>დაწესებულების მესამე სართულზე განთავსებულია კომპიუტერული ტექნიკით აღჭურვილი კომპიუტერული მეცნიერებების ლაბორატორია.<br><br>ლაბორატორიებში გამოკრულია ლაბორატორიით სარგებლობის წესები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შპს ინსტა ჯორჯიასთან გაფორმებული ხელშეკრულება, ანგარიშსწორებისა და მიღება-ჩაბარების დოკუმენტაცია;<br>2. კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>3. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.2 სკოლაში არის საგანმანათლებლო პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი გარემო: ელექტროენერგიის მიწოდების უწყვეტი სისტემა, სველი წერტილები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის საშუალებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებაში არის სასწავლო პროცესის წარმართვისათვის შესაბამისი გარემო. სკოლას მიეწოდება უწყვეტი ელექტროენერგია; ყველა საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება. გათბობა და ცხელი წყალი რეგულირდება სკოლის შენობის გარეთ მდებარე საქვაბის საშუალებით.<br><br>ვინაიდან შენობა მდებარეობს წყალდიდობის მაღალი რისკის ზონაში, შენობის ნახევარსარდაფის დატბორვის პრევენციის მიზნით, დაწესებულებამ ეზოში დაამონტაჟა ხუთტონიანი ტევადობის მქონე ჭა. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. კომუნალური გადახდების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. ვიზუალური დათვალიერება;<br>3. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.3 სკოლაში არის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა სათანადო რაოდენობის წიგნადი ფონდით, პერიოდიკითა და სხვა დამხმარე მასალით | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ნულოვან სართულზე განთავსებულია ბიბლიოთეკა, რომელშიც დაცულია 5800-ზე მეტი ერთეულისაგან შემდგარი წიგნადი ფონდი, მათ შორის სამხატვრო და სამეცნიერო ლიტერატურა და გრიფირებული სახელმძღვანელოები.<br><br>სკოლაში დასაქმებულია კვალიფიციური ბიბლიოთეკარი, რომელიც აწარმოებს წიგნების აღრიცხვას „ექსელის" ფაილში. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესისამებრ, შექმნილია ანბანური და სისტემური კატალოგები, მკითხველთა ინდივიდუალური ბარათები.<br><br>დაწესებულებას გამოწერილი აქვს პერიოდული გამოცემა „ახალი განათლება". |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ბიბლიოთეკის შესასვლელთან, თვალსაჩინო ადგილას, გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი და სამუშაო საათები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. წიგნადი ფონდის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. წიგნების აღრიცხვის ელექტრონული ფაილი;<br>3. ხელშეკრულება N30 29/12/20 ,,ახალი განათლება“;<br>4. ბიბლიოთეკართან გასაუბრება;<br>5. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.4 სკოლას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის ინფრასტრუქტურა სრულად ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის.<br><br>მთავარ შესასვლელში დამონტაჟებულია მიზანშეწონილი დახრილობის მქონე პანდუსი, რომელზე გადაადგილებაც ეტლით მოსარგებლე პირისთვის დამოუკიდებლად არის შესაძლებელი. სკოლის სართულებზე გადაადგილების მიზნით კი შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი.<br><br>სკოლის ოთხივე სართულზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილები.<br><br>სკოლის პირველ სართულზე განთავსებულია რესურს-ოთახი სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის მიზნით. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შენობის აზომვითი ნახაზი;<br>2. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.5 სკოლას აქვს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის აუცილებელი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, მათ შორის, ინტერნეტით მუდმივად უზრუნველყოფილი კომპიუტერები. ვებგვერდი ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს აისი ფლობს სასკოლო სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისათვის შესაბამის თანამედროვე ტექნოლოგიებს. კერძოდ, დაწესებულების მფლობელობაშია 10 პერსონალური კომპიუტერი და 10 ლეპტოპი, რომლებიც გამართულად მუშაობს და უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით.<br><br>დაწესებულების მესამე სართულზე განთავსებულია კომპიუტერული ლაბორატორია. შენობაში არის როგორც სადენიანი, ასევე უსადენო ინტერნეტი. WI-FI ხელმისაწვდომია შენობის ყველა წერტილში.<br><br>გარდა ამისა, დაწესებულების მფლობელობაშია:<br>3 კომბაინი(პრინტერი/ქსეროქსი/სკანერი);<br>1 პროექტორი;<br>1 ეკრანი.<br><br>შპს აისს აქვს ვებგვერდი: aisi.edu.ge; გვერდი ასრულებს საინფორმაციო ფუნქციას. დაწესებულება ასევე სარგებლობს სოციალური ქსელით (ფეისბუქი), რომელსაც აქტიურად იყენებს საკომუნიკაციო საშუალებად; მშობლების რეგულარულად ინფორმირების მიზნით, დაწესებულება სარგებლობს ელექტრონული ჟურნალით: EduPage. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. დაწესებულების ვებგვერდი: aisi.edu.ge;<br>2. სოციალური ქსელის გვერდი : https://www.facebook.com/kerdzoskolaaisi;<br>3. კომპანია სილქნეტთან გაფორმებული ხელშეკრულება;<br>4. კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>5. ვიზუალური დათვალიერება;<br>6. მშობლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 2.6 სკოლაში დაცულია პერსონალისა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა, რისთვისაც არსებობს: | |
|---|---|
| ა)ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მექანიზმები და ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს აისმა წარმოადგინა დირექტორის ბრძანება საგანგებო სიტუაციების და თავდაცვის ოპერტიული შტაბის შექმნის შესახებ; გარდა ამისა დაწესებულებას დამტკიცებული აქვს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკის წესი. აღნიშნული წესის N 15 მუხლი ეძღვნება საგანგებო სიტუაციების მართვას, მათ შორის ხანძარსაწინააღმდეგო ზომების გატარებას, ხოლო N 16 მუხლი ეთმობა შენობაში ხანძრის გაჩენის შემთხვევაში განსახორციელებელ პროცედურებს.<br><br>დაწესებულება სრულად აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. სკოლის ნულოვან სართულზე განთავსებულია დამუხტული ცეცხლმაქრები, ხოლო დანარჩენ სამ სართულზე განთავსებულია როგორც ცეცხლმაქრები, ასევე ხანძრის ჩასაქრობი ჰიდრანტები და ჰიდრანტის შესანახი კარადები. საევაკუაციო გეგმებზე დატანილია ცეცხლმაქრებისა და ჰიდრანტების ადგილმდებარეობა. შენობის ყველა სართულზე დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო/კვამლის დეტექტორები.<br><br>დაწესებულების ეზოში დამონტაჟებულია მიწისზედა სახანძრო ჰიდრანტი, რომელიც დაერთებულია წყლის ცენტრალურ სისტემაზე და ვარგისია სახანძრო ავტოცისტრენების შესავსებად.<br><br>დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს დასკვნა შპს აისში ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემის გამართულობის შესახებ. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შპს აისს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება დაცვის კომპანია „გისსონთან“, რომელიც ვალდებულია რეაგირება მოახდინოს ცენტრალიზებული დაცვის პულტიდან სახანძრო განგაშის შემოსვლის შემთხვევაში და დაუყოვნებლივ დაუკავშირდეს როგორც დაწესებულების წარმომადგენლებს, ასევე შესაბამის ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურს.<br><br>დაწესებულებას პროექტის სახით შემუშავებული აქვს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები. პროექტის III თავში აღწერილია სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის დროს, მათ შორის სახანძრო შემთხვევის დროს, განსახორციელებელი ღონისძიებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შპს აისის დირექტორის ბრძანება საგანგებო სიტუაციების და თავდაცვის ოპერტიული შტაბის შექმნის შესახებ;<br>2. შპს აისის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების პოლიტიკის წესი;<br>3. სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს დასკვნა შპს აისში ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგების სისტემის გამართულობის შესახებ;<br>4. დაცვის კომპანია „გისსონთან“ გაფორმებული ხელშეკრულება; შპს აისის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები - პროექტი;<br>5. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება;<br>6. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **ბ) თვალსაჩინო ადგილას გამოკრული ევაკუაციის გეგმა** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულების ოთხივე სართულზე, თვალსაჩინო ადგილას, გამოკრულია შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ - სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოს მიერ შემუშავებული საევაკუაციო გეგმა, რომელზეც იდენტიფიცირებულია ცეცხლმაქრებისა და ჰიდრანტების ადგილმდებარეობა, მთავარი და სათადარიგო |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | გასასვლელები, გადაუდებელი შემთხვევების დროს გადაადგილების საევაკუაციო და სათადარიგო მიმართულებები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. საევაკუაციო გეგმები;<br>2. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| **გ) სამედიცინო დახმარების აღმოჩენის მექანიზმები** | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას შემუშავებული აქვს შპს აისის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესი, რომელშიც გაწერილია გადაუდებელი შემთხვევების, ხანძრისა და სკოლის გარეთ დაგეგმილი აქტივობების დროს სამედიცინო საჭიროებებისა და გადაუდებელი შემთხვევების სამედიცინო მხარდაჭერის წესები. აღნიშნულ დოკუმენტს თან ერთვის ახალი კორონავირუსის პრევენციის მიზნით შემუშავებული რეგულაციები, რომლებიც ეყრდნობა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრულ წესს.<br><br>სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო დახმარების კაბინეტი, რომელსაც აქვს თავისი სველი წერტილი, აღჭურვილია ონკანით და ხელის დაბანის საშუალებებით.<br><br>კაბინეტი უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარებისათვის აუცილებელი ინვენტარით, თუმცა სრულად შესაბამისობაში არ არის საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. კერძოდ, ოთახში არ არის ტიხრული შირმა, რომელიც საჭიროა პაციენტთა პრივატულობის უზრუნველსაყოფად. ამასთან, სამედიცინო შემთხვევებისა და მედიკამენტების აღრიცხვა მიმდინარეობს No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნებისგან განსხვავებული წესით. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | დაწესებულებაში მუშაობს დიპლომირებული ექიმი. ექიმის პირადი საქმისა და განათლების დამადასტურებელი დოკუმენტაციის შესწავლით ვერ მოხერხდა ექიმის კვალიფიკაციის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან - ა) „პედიატრია“; ბ) „საოჯახო მედიცინა“; გ) „ზოგადი პროფილის ექიმი პედიატრი - შესაბამისობის დადგენა.<br><br>**დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, სამედიცინო კაბინეტის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანისა და მოწესრიგების შესახებ. დაწესებულებამ ბრძანება სამედიცინო კაბინეტით სარგებლობის განახლებული წესის დამტკიცების შესახებ, ასევე დოკუმენტაცია შირმის შესყიდვის შესახებ, წარმოადგინა ვიზიტის პერიოდში.**<br><br>**ადამიანური რესურსის სტანდარტის ნაწილში (ქვესტანდარტი 3.1), დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების მიზნით, გამოაცხადოს კონკურსი და ხელშეკრულება გააფორმოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმთან. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში გამოაცხადა კონკურსი ექიმის თანამდებობაზე და გაუგზავნა რესურსცენტრს შეტყობინება საკონკურსო კომისიაში რესურსცენტრის წარმომადგენლის ჩართვის თაობაზე.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შპს აისის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების წესი;<br>2. შპს აისის სამედიცინო კაბინეტით სარგებლობის წესი;<br>3. ექიმის პირადი საქმე;<br>4. სამედიცინო შემთხვევებისა და მედიკამენტების სარეგისტრაციო ჟურნალი;<br>5. ექიმთან და დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

**დ) წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | შპს აისში წესრიგის დაცვის უზრუნველყოფა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, სადაც გაწერილია სასკოლო საზოგადოებაში ჩართული პირების - დასაქმებულებისა და მოსწავლეების - წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, ასევე, სიცოცხლის, ჯანმრთელობის, შრომის პირობების დაცვასთან დაკავშირებული ზოგადი ინსტრუქციები (თავი 12).<br><br>სკოლის პედაგოგები, დამრიგებლები და თანამშრომლები ზრუნავენ უსაფრთხო და დაცული გარემოს შექმნაზე. წარმოდგენილია მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი. სკოლის მთლიანი პერიმეტრი კონტროლდება როგორც დარაჯის, ასევე ადმინისტრაციის თანამშრომლებისა და მორიგე პედაგოგების მიერ. ასევე, შექმნილია ლიფტის მეთვალყურეობის განრიგი.<br><br>შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, დაწესებულებას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შპს „ ეიჩ ეს ი ჯორჯიასთან“.<br>დაწესებულებას პროექტის სახით მომზადებული აქვს „უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები“ „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის N06/ნ ბრძანების შესაბამისად. პროექტი ამჟამად შესათანხმებლად წარდგენილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტთა გუნდი გაეცნო დაწესებულებასა და სამინისტროს შორის წერილობით კომუნიკაციას. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსგან ბოლო სარეკომენდაციო წერილი თარიღდება 2022 წლის 03 მაისით, რის შემდეგაც შპს აისმა დააკორექტირა აღნიშნული წესი და 2022 წლის 06 ივნისს გაუგზავნა სამინისტროს შესათანხმებლად. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შპს აისის შინაგანაწესი;<br>2. მორიგეობის განრიგი;<br>3. შპს აისის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესი და პირობები - პროექტი;<br>4. ხელშეკრულება შპს „ ეიჩ ეს ი ჯორჯიასთან“; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

| | |
|---|---|
| | 5. შრომის უსაფრთოების სპეციალისტთან გასაუბრება;<br>6. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |
| ე) კერძო სამართლის იურიდიული პირების – ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის – უსაფრთხოების კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე პერიმეტრის კონტროლს და რომელიც შეესაბამება „აზარტული და სხვა მომგებიანი თამაშობების (გარდა წამახალისებელი გათამაშებისა) ადგილებზე და გარე პერიმეტრზე ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლოატაციის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებს | |
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ვიზიტის პერიოდისთვის, დაწესებულების შენობაში დამონტაჟებული იყო 12 ვიდეომეთვალყურეობის კამერა, ხოლო სკოლის გარე კედლებზე, ეზოს პერიმეტრის გაკონტროლების მიზნით, 4 ვიდეო-კამერა, მათ შორის ორი მაღალი ამსახველობის მქონე კამერა დამონტაჟებული იყო უშუალოდ შენობის შესასვლელში. კამერებით გადმოცემული კადრები უხარვეზოდ აისახებოდა უსაფრთხოების ოთახში, კომპიუტერის მონიტორზე.<br><br>საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესების მიხედვით, კამერები დამონტაჟებული უნდა იყოს სკოლის მთავარ შესასვლელში, გზის სავალი ნაწილის გასაკონტროლებლად. ვინაიდან შპს აისის შენობაში მოსახვედრად, ვიზიტორმა უნდა გაიროს ცენტრალური ჭიშკარი (რომელიც უშუალო შეხებაშია გზის სავალ ნაწილთან), სკოლის მთავარ შესასვლელად უნდა ჩაითვალოს სწორედ ეზოში შესასვლელი და არა უშუალოდ, შენობაში შესასვლელი კარი.<br><br>**აქედან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, 3 მეგაპიქსელიანი კამერების ეზოს შესასვლელთან დაყენების შესახებ. დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში შეისყიდა და დაამონტაჟა 5 კამერა (3 კიბის უჯრედების, ხოლო 2 გარე პერიმეტრის გასაკონტროლებლად).** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შენიშვნა: გარე კამერების მონტაჟი არ არის შესაბამისობაში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებთან. ორივე ვიდეო-კამერა კადრებს ასახავს ერთი მიმართულებით და ორივე დამონტაჟებულია შესასვლელი კარიდან ხელმარჯვნივ და არა ურთიერთმკვეთი მიმართულებით; შესაბამისად, გზის სავალი ნაწილის მეორე მიმართულება, რომელიც ამ კამერების მიღმა არის დარჩენილი, არ კონტროლდება.<br><br>***შენიშვნა:*** *დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, დაწესებულებამ წარმოადგინა დამადასტურებელი დოკუმენტაცია ქვესტანდარტის დაკმაყოფილების შესახებ. კერძოდ, წარმოდგენილ ფოტო-მასალაში ასახულია ერთ-ერთი კამერის ადგმილდებარეობის ცვლილება და მონტაჟი, ისე რომ გარე პერიმეტრი კონტროლდება სრულად, ურთერთმკვეთი მიმართულებით.* |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. 21 ვიდეო-კამერის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;<br>2. ვიზუალური დათვალიერება;<br>3. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☐ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.7 სკოლას შემუშავებული აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი წესდება, შინაგანაწესი ან გადაწყვეტილებების მიღების, საქმიანობის დაგეგმვისა და წარმართვის პროცედურათა ამსახველი სხვა დოკუმენტები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებამ წარმოადგინა წესდება, სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული შინაგანაწესი, სკოლის დებულება და თანამდებობრივი ინსტრუქციები.<br><br>სკოლის შინაგანაწესში აღწერილია სამუშაო დრო და გაკვეთილების ხანგრძლივობა, შრომითი ურთიერთობის წარმოშობისა და შეწყვეტის წესი, შვებულების ხანგრძლივობა და პირობები, წახალისების ფორმები და დისციპლინური პასუხისმგებლობა, სკოლაში ჩარიცხვის პირობები და სხვა. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | შპს აისის დებულება განსაზღვრავს სკოლის მართვის ორგანოებსა და მათ ფუნქციებს. კერძოდ კი, დირექციის, პედაგოგიური საბჭოს და საგნობრივი კათედრების საქმიანობის სფეროს, მიზნებს, ფუნქციებსა და ორგანიზაციულ მოწყობას.<br>თანამდებობრივი ინსტრუქციები აზუსტებს სკოლაში დასაქმებულ პირთა უფლება-მოვალეობებს, პასუხისმგებლობებსა და განსახორციელებელ საქმიანობას.<br><br>**რჩევა: ამჟამად დაწესებულების დებულებაში მხოლოდ ზოგადად არის განსაზღვრული დირექტორის საქმიანობა და მოვალეობები; უმჯობესია, გაიმიჯნოს/დაკონკრეტდეს ფუნქციები და პასუხისმგებლობები დაწესებულებაში დასაქმებული ორი დირექტორისათვის.** |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შპს აისის შინაგანაწესი;<br>2. შპს აისის დებულება;<br>3. შპს აისის თანამდებობრივი ინსტრუქციები;<br>4. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.8 შემუშავებულია სკოლის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები, გამომდინარე დაწესებულების მისიიდან, რაც ასევე ითვალისწინებს მატერიალური რესურსების ეფექტურად გამოყენებისა და გაუმჯობესების მექანიზმებს | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის განვითარების გრძელვადიანი და ერთწლიანი გეგმები. მათი შესწავლის საშუალებით დადგინდა, რომ გაწერილი აქტივობები შეესაბამება სკოლის მისიას და ხელს უწყობს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას.<br><br>განვითარების ერთწლიანი გეგმა (2021-2022 წელი) მოიცავს თვეების მიხედვით გაწერილ აქტივობებს და მათ შესრულებაზე პასუხისმგებელი პირების ჩამონათვალს. აქტივობები დაჯგუფებულია 6 მთავარი მიმართულების მიხედვით:<br>1. სკოლის დემოკრატიზაციისა და მართვის სისტემის განვითარება;<br>2. სწავლა-სწავლების სტრატეგია; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | 3. ადამიანური რესურსების მართვის სტრატეგია;<br>4. მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მართვის სტრატეგია;<br>5. ფინანსური გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება - ფინანსების მართვის სტრატეგია;<br>6. საზოგადოებასთან ურთიერთობების / კომუნიკაციის სტრატეგია.<br><br>განვითარების გრძელვადიანი გეგმა ვრცელი დოკუმენტია, რომელიც მოიცავს ძირითად პრიორიტეტებს და მიზნებს, მათ მიღწევისათვის შესაბამის ამოცანებს, ქვეამოცანებსა და აქტივობებს. თითოეულ მიმართულებასთან დაკავშირებით, აღწერილია მოსალოდნელი შედგები, პარტნიორების (მესამე პირების) ჩართულობა, როგორც მიზნის მიღწევის საშუალება, და შესაძლო რისკები. ექვსწლიან გეგმაში ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად წარმოდგენილია საერთაშორისო აკრედიტაციის სტატუსის მიღება და სსიპ ხარისხის განვითარების სააგენტოს მიერ აკრედიტირებული Sabis Educational პროგრამის განხორციელება.<br><br>გარდა ამისა, გრძელვადიანი გეგმა მოიცავს SWOT ანალიზს, კონკურენტული ბაზრის კვლევას, თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნების შესრულების სტრატეგიებს, და სკოლის შესახებ საზოგადოების ინფორმირების მიზნით განსახორციელებელ მარკეტინგული სტრატეგიებს. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შპს აისის განვითარების გრძელვადიანი (ექვსწლიანი) გეგმა;<br>2. შპს აისის განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;<br>3. დაწესებულების წარმომადგენლებთან გასაუბრება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 2.9 დაწესებულებაში მიმდინარეობს გამოცემული აქტებისა და კორესპონდენციის აღრიცხვა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებლებამ წარმოადგინა საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომლის მიხედვითაც აღირიცხება შემოსული და გასული კორესპონდენცია, მიმდინარეობს ბრძანებების გამოცემა, |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ხელშეკრულებების გაფორმება და აღრიცხვა, პირადი საქმეების წარმოება. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შპს აისის საქმისწარმოების წესი;<br>2. საქმისწარმოების აღრიცხვის ჟურნალები;<br>3. პირადი საქმეები;<br>4. ადმინისტრაციის წევრებთან გასაუბრება;<br>5. ვიზუალური დათვალიერება. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებისა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესების მიხედვით, კამერები დამონტაჟებული უნდა იყოს სკოლის მთავარ შესასვლელში, გზის სავალი ნაწილის გასაკონტროლებლად. ვინაიდან შპს აისის შენობაში მოსახვედრად, ვიზიტორმა უნდა გაიროს ცენტრალური ჭიშკარი (რომელიც უშუალო შეხებაშია გზის სავალ ნაწილთან), სკოლის მთავარ შესასვლელად უნდა ჩაითვალოს სწორედ ეზოში შესასვლელი და არა უშუალოდ, შენობაში შესასვლელი კარი.<br><br>**აქედან გამომდინარე, დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია, 3 მეგაპიქსელიანი კამერების ეზოს შესასვლელთან დაყენების შესახებ. დაწესებულებამ ვიზიტის ფარგლებში შეისყიდა და დაამონტაჟა 5 კამერა (3 კიბის უჯრედების, ხოლო 2 გარე პერიმეტრის გასაკონტროლებლად).**<br><br>**შენიშვნა: გარე კამერების მონტაჟი არ არის შესაბამისობაში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებთან. ორივე ვიდეო-კამერა კადრებს ასახავს ერთი მიმართულებით და ორივე დამონტაჟებულია შესასვლელი კარიდან ხელმარჯვნივ და არა ურთიერთმკვეთი მიმართულებით; შესაბამისად, გზის სავალი ნაწილის მეორე მიმართულება, რომელიც ამ კამერების მიღმა არის დარჩენილი, არ კონტროლდება.** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| რჩევები: | **რჩევა:** ამჟამად დაწესებულების დებულებაში მხოლოდ ზოგადად არის განსაზღვრული დირექტორის საქმიანობა და მოვალეობები; უმჯობესია, გაიმიჯნოს/დაკონკრეტდეს ფუნქციები და პასუხისმგებლობები დაწესებულებაში დასაქმებული ორი დირექტორისათვის. |
| ხარვეზები: | **გარე კამერების მონტაჟი არ არის შესაბამისობაში საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 29 აგვისტოს №1143 ბრძანებით განსაზღვრულ ვიდეომეთვალყურეობის სისტემებსა და მათი დამონტაჟება-ექსპლუატაციის წესებთან.**<br><br>***შენიშვნა:*** *დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, დაწესებულებამ წარმოადგინა დამადასტურებელი დოკუმენტაცია ქვესტანდარტის დაკმაყოფილების შესახებ. კერძოდ, წარმოდგენილ ფოტო-მასალაში ასახულია ერთ-ერთი კამერის ადგმილდებარეობის ცვლილება და მონტაჟი, ისე რომ გარე პერიმეტრი კონტროლდება სრულად, ურთერთმკვეთი მიმართულებით.* |
| სტანდარტის შეფასება | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☐ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☒ სტანდარტი დარღვეულია |

## 3. ადამიანური რესურსი

| 3.1 სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლას ჰყავს სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის შესაბამისი ადამიანური რესურსი. სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრულია ნუსხა თანამდებობრივი ერთეულების მითითებით.<br>**ადმინისტრაცია:**<br>- დირექტორი - 2;<br>- ადამინისტრატორი -1;<br>- კონსულტანტი-1; |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | - დირექტორის მოადგილე - 1;<br>- ბუღალტერი - 1;<br>- ადამიანური რესურსების მართვის სპეციალისტი - 1;<br>- საქმეთამმართველი - 1;<br>- ექიმი -1;<br>- ფსიქოლოგი -1;<br>- ბიბლიოთეკარი -1;<br>ტექნიკური პერსონალი :<br>- მნე - 1;<br>- დარაჯი -1;<br>- IT მენეჯერი -1;<br>- დამლაგებელი -1.<br>**მასწავლებლები -** 19 პედაგოგი;<br>**ფაკულტატური მომსახურების ხელმძღვანელები** - 4 პედაგოგი;<br>**დაწესებულებას მიეცა რეკომენდაცია 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით განსაზღვრული მოთხოვნების სრულად დაკმაყოფილების მიზნით, გამოაცხადოს კონკურსი და ხელშეკრულება გააფორმოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმთან. დაწესებულებამ ვიზიტის პერიოდში გამოაცხადა კონკურსი ექიმის თანამდებობაზე და გაუგზავნა რესურსცენტრს შეტყობინება საკონკურსო კომისიაში რესურსცენტრის წარმომადგენლის ჩართვის თაობაზე.**<br><br>***შენიშვნა:*** *დასკვნის პროექტის გაცნობის შემდგომ, დაწესებულებამ წარმოადგინა დამადასტურებელი დოკუმენტაცია რეკომენდაციის შესრულების შესახებ. კერძოდ, ექიმის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ამონაწერი ელექტრონული ბაზიდან Eschool, ბრძანება საკონკურსო კომისიის შექმნის თაობაზე, წერილი რესურსცენტრიდან რესურსცენტრის წარმომადგენლის განსაზღვრის შესახებ.* |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შპს აისის სკოლის დირექტორის 2021 წლის 26 ივლისის №104 ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგი.<br>2. თანამშრომელთა პირადი საქმეები;<br>3. ამონაწერი მართვის საინფორმაციო სისტემიდან - Eschool |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | ☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| ინფორმაცია მასწავლებელთა შესახებ | |
|---|---|
| პედაგოგთა საერთო რაოდენობა | 19 |
| მოწვეული/მაძიებელი | 1 |
| პრაქტიკოსი მასწავლებლი | 0 |
| უფროსი მასწავლებლი | 14 |
| წამყვანი მასწავლებლი | 4 |
| მენტორის სტატუსი | 0 |

| 3.2 სკოლის მასწავლებლები შერჩეულნი არიან ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | მასწავლებლები შერჩეულები არიან „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. მასწავლებლები ჩართული არიან მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემაში.<br><br>მასწავლებელთა პირად საქმეებში წარმოდგენილია შესაბამისი კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. მასწავლებელთა პირადი საქმეები;<br>2. ამონაწერი მართვის საინფორმაციო სისტემიდან - Eschool. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.3 სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესები, ასევე წახალისებისა და სანქციების გამჭვირვალე სისტემა | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის მასწავლებელთა შერჩევისას სკოლა ხელმძღვანელობდა საქართველოს განათლები,მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს 174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით“. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| | სკოლას ასევე შემუშავებული აქვს კონკურსის ჩატარების წესი (შიდა და გარე). პირველ ეტაპზე, კანდიდატი წარადგენს რეზიუმეს, შემდეგ ხდება გასაუბრება საკონკურსო კომისიასთან. ვაკანტური ადგილის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება მასწავლებლის სახლის ვებ-გვერდზე.<br><br>სკოლის შინაგანაწესსა და თანამშრომელთა ხელშეკრულებებში გაწერილია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს წახალისების სისტემას, რომელიც დირექტორის ინდ. აქტით ფორმდება. შინაგანაწესში ასევე განსაზღვრულია დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები, დაზუსტებულია გადაცდომების და პასუხისმგებლობის სახეები. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. შპს აისის შინაგანაწესი;<br>2. გაფორმებული ხელშეკრულებები;<br>3. jobs.ge და pedagogi.ge -ზე გამოქვეყნებული ვაკანსიები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| 3.4 მასწავლებლებთან, ადმინისტრაციულ, ტექნიკურ პერსონალსა და სკოლის სხვა თანამშრომლებთან გაფორმებულია ხელშეკრულებები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | დაწესებულებას სკოლის ყველა დასაქმებულ პირთან გაფორმებული აქვს შრომითი ხელშეკრულება. დაწესებულებამ ვიზიტის პირველ დღეს წარმოადგინა ხელშეკრულებები, რომელთაგან რამდენიმე საჭიროებდა მასწავლებლის სტატუსის დაკონკრეტებას.<br><br>ექსპერტების რეკომენდაციის შედეგად, მეორე დღეს გადმოგზავნილ იქნა ყველა თანამშრომლის ხელშეკრულება განახლებული და სრულყოფილი სახით. მასწავლებელების ხელშეკრულებებში სტატუსის შესაბამისი მუხლებია მითითებული. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. თანამშრომლებთან და მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 3.5 სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების ხელშეწყობის მექანიზმები | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | ადამიანური რესურსის პროფესიული განვითარების და ხელშეწყობის მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს „ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარების წესი“, რომელშიც გაწერილია შესაბამისი პროცედურები. ასევე, სკოლაში დამტკიცებულია ხარისხის განვითარებისა და მასწავლებელთა კარიერული წინსვლის მხარდამჭერი ჯგუფის სამუშაო დებულება.<br><br>სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის მიხედვით, ერთერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება, რისთვისაც სკოლა ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს. კერძოდ: მასწავლებლების საჭიროების დადგენა; კვალიფიკაციის ამაღლებისათვის სხვადასხვა ღონისძიებების, მათ შორის ტრენინგების უზრუნველყოფა. ეფექტურად ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც განსაზღვრავს მასწავლებლების საჭიროებებს, ესწრება გაკვეთილზე და აძლევს მათ განმავითარებელ უკუკავშირს.<br><br>სკოლას გაფორმებული აქვს პარტნიორობის მემორანდუმი ადგილობრივ და საერთაშორისო საგანმანათლებლო ორგანიზაციებსა და უნივერსიტეტებთან. მათი მხარდაჭერით, სკოლის თანამშრომლები და პედაგოგები ესწრებიან სხვადასხვა სემინარსა და სამუშაო შეხვედრას როგორც ონლაინ, ასევე ტრადიციულ ფორმატში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება და ოქმები;<br>2. სკოლის პერსონალთან გასაუბრება;<br>3. პროფესიული განვითარების დამადასტურებელი სერტიფიკატები. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| 3.6 სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის შესაძლებლობათა მაქსიმუმის გამოვლენას, პასუხისმგებლობის გადანაწილებას | |
|---|---|
| ქვესტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი | სკოლის თანამშრომლებს, პედაგოგებსა და მოსწავლეთა შორის არის თანამშრომლობითი დამოკიდებულება.<br><br>მშობლებთან ინტერვიუირებით გამოიკვეთა, რომ ისინი კმაყოფილნი არიან სკოლის შედეგებით. ისინი აღნიშნავდნენ სკოლის ადმინისტრაციის ყურადღებას და კეთილგანწყობას, როგორც მათ მიმართ, ასევე ბავშვების მიმართ. ხაზს უსვამდნენ მასწავლებელთან აქტიურ კომუნიკაციას და მასწავლებლების მზაობას, ითანამშრომლონ მშობლებთან და ბავშვებთან.<br><br>სკოლის სტრატეგიულ გეგმასა და ვებგვერდზე აქცენტირებულია დაწესებულებაში მცირეკონტიგენტიანი კლასები - ამ გარემოებამ ჩამოაყალიბა ოჯახური, თბილი, კომფორტული დამოკიდებულება და კლიმატი. სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით, სადამრიგებლო პროგრამებისა და სადამრიგებლო ანგარიშების შესწავლით, ვიდეო და ფოტომასალის გაცნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში არის დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფერო. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები: | 1. სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლებთან გასაუბრება;<br>2. სადამრიგებლო პროგრამა და ანგარიშები;<br>3. დაწესებულების ვებგვერდი და სოც. ქსელი. |
| შეფასება: | ☒ ქვესტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ ქვესტანდარტი დარღვეულია |

| | |
|---|---|
| რეკომენდაციები: | რეკომენდაცია, რომელიც დაწესებულებამ უნდა გაითვალისწინოს სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. |
| რჩევები: | არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად. |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.

| | |
|---|---|
| **ხარვეზები:** | ივსება ასეთის არსებობის შემთხვევაში |
| **სტანდარტის შეფასება** | მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br><br>☒ სტანდარტი დაკმაყოფილებულია<br>☐ სტანდარტი დარღვეულია |

- თუ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელს სურს ასევე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება, ექსპერტთა ჯგუფი ამასთანავე ავსებს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმას პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებელზე.

## XI. თანდართული დოკუმენტაცია

--

ქ. თბილისი 05.08.2022

გვერდების რაოდენობა: 51



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----------------------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ------------------------

დაწესებულების წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის ხელმოწერა --------------------

ბ.ა.